▪ საინფორმაციო ბიულეტენი რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე
ასოციაცია ჰერა **XXI**

№4. 2016; ივლისი/აგვისტო

▪ სარჩევი:
▪ სიახლეები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა დაუფლებების სფეროში -საქართველო
▪საინტერესო ინფორმაცია და საკანონმდებლო ინიციატივები
▪მედია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე
საერთაშორისო ამბები

სიახლეები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში -საქართველო

- **სამთავრობო და არასამთავრობო სექტორმა UPR -ის ფარგლებში აღებული რეკომენდაციების მიმოიხილა**

ასოციაცია ”ჰერა-XXI” პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად (,,ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) ’, ,,თანადგომა”, ,,იდენტობა”-თან) აქტიურად აგრძელებს საადვოკაციო აქტივობებს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (Universal Periodic Review) ფარგლებში სახელმწიფოს მიერ აღებული რეკომენდაციების ეფექტიანი შესრულებისა და მათი დროული და სათანადო ასახვისათვის საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმაში.

ამ ამოცანის ფარგლებში 2016 წლის 11-12 ივლისს, ყაზბეგში, სასტუმრო Rooms- ში გაიმართა სამუშაო შეხვედრა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, განათლების და მეცნიერების, შინაგან საქმეთა სამინისტროების, ადამიანის უფლებათა სამდივნოს, პროკურატურისა და ომბუდსმენის წამომადგენლების ჩართულობით .

- ინფორმაციის ვრცლად სანახავად ეწვიეთ ბმულს: http://hera-youth.ge/index.php?m=34&news_id=146

ასოციაცია ჰერა XXI-ეს ინიციატივითა გენდერული საბჭოს კოორდინატორებისთვის და საკრებულოს წევრებისთვის ტრენინგი ჩატარდა

- ასოციაცია ჰერა XXI-ეს ინიციატივითა და ორგანიზებით გორის მუნიციპალიტეტში გენდერული საბჭოს კოორდინატორებისთვის და დეპუტატი ქალბატონებისთვის ტრენინგ ჩატარდა.

ტრენინგს გორის, ხაშურისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების კოორდინატორები ესწრებოდნენ.

,,გენდერი, გენდერული თანასწორობის ბალანსი, თანასწორობა ეს არის ის საკითხები, რომელიც დღეს ძალიან აქტუალურია ჩვენი საზოგადოებისთვის. თუმცა ამ ინოვაციურ თემებს ლაიტმოტივად ის მავნე ჩვევები უდევს, რომელიც ჩვენ საზოგადოებას ძალიან აწუხებს. ეს გახლავთ: ადრეული ქორწინება, ოჯახში ძალადობა, სექსუალური ძალადობა... შესაბამისად ამ საკითხზე მუშაობა დამეთანხმებით ძალიან მნიშვნელოვანია. თუ ჩვენ გვინდა გვყავდეს ჯანმრთელი, ძლიერი, განათლებული, რეალიზებული ქალები მნიშვნელოვანია რომ მათ ჰქონდეთ ინფორმაცია რეპროდუქციულ ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე. მათ უნდა შეეძლოთ თავად დაგეგმო თუ როდის, რამდენი და რა ინტერვალით იყოლიონ შვილები, უნდა იცოდნენ თუ როგორი ქცევა უნდა ჰქონდეთ რომ მათი ორსულობა იყოს უსაფრთხო...”-აცხადებს ასოციაცია ჰერა XXI-ეს აღმასრულებელი დირექტორი ნინო წულეისკირი.

- ინფორმაციის ვრცლად სანახავად ეწვიეთ ბმულს: http://hera-youth.ge/index.php?m=34&news_id=147

ასოციაცია ჰერა XXI ფსიქოლოგის უფასო კონსულტაციას გთავაზობთ

30 აგვისტოდან ასოციაცია ჰერა XXI ფსიქოლოგის მომსახურებას გთავაზობთ.

სერვისი უფასოა და ანონიმურობა გარანტირებულია.

თუ თქვენ გაწუხებთ თვითსტიგმა ან განიცდით დისკრიმინაციას, გაქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები და გსურთ მათი გადალახვა, ხართ ოჯახური ძალდობის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, განეკუთვნებით სექსუალურ უმცირესობას ან ხართ სექს მუშაკი; აივ ინფიცირებული ან უბრალოდ ახალგაზრდა - გჭირდებათ რჩევები და თანადგომა - მაშინ მოგვმართეთ.

ფსიქოლოგის კაბინეტი იმუშავებს ყოველ ოთხშაბათს დილის 10 საათიდან საღამო 18 საათამდე.

ფსიქოლოგთან კონსულტაციისთვის გთხოვთ ჩაეწეროთ წინასწარ-დარეკეთ ნომერზე 2 14 28 53 ან გაიარეთ ონლაინ რეგისტრაცია საიტზე HERA-YOUTH.GE

ივლისს მოსახლეობის მსოფლიო დღე აღინიშნება

11 ივლისი მოსახლეობის მსოფლიო დღეა, რომლიც თემა წელს თინეიჯერი გოგონების უფლებების დაცვაა. გაერეოს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) მხარს უჭერს ქვეყნების ძალისხმევას გააძლიეროს თინეიჯერი გოგონები, დაიცვას მათი უფლებები, უზრუნველყოს მათთვის ინფორმაციისა და სერვისების ხელმისაწვდომობა, მათ შორის სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.

”2015 წელს, UNFPA, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, დაეხმარა 11.2 მილიონ 10 დან 19 წლამდე თინეიჯერ გოგონას, რომ ჰქონოდა წვდომა სქესობრივი და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის შესახებ არსებულ ინფორმაციაზე და სერვისებზე. შარშანდელი მონაცემებით, 73 ქვეყანაში შემუშავდა ან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამები რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო თინეიჯერი გოგონებისა და ბიჭებისთვის სკოლაში და სკოლის გარეთ. 2015 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდმა ხელი შეუწყო 89 ქვეყანას შეემუშავებინა და განეხორციელებინა კანონები და ნორმები, რითაც საშუალება მისცა თინეიჯერ გოგონებს, მიუხედავად მათი ოჯახური მდგომარეობისა, ჰქონოდათ წვდომა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე.

ინფორმაციის ვრცლად სანახავად ეწვიეთ ბმულს: http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/388000-11-ivliss-mosakhleobis-msoflio-dghe-aghinishneba.html?ar=A

საქართველოში კამპანია MenCare „მამები ზრუნავენ” დაიწყო

- კამპანია "კაცები ზრუნავენ" გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის და არასამთავრობო ორგანიზაცია WeCare-ის ინიციატივით იწყება.

"კამპანიის მიზანია წაახალისოს მამაკაცების, როგორც მზრუნველი მამების და მეუღლეების ჩართულობა ოჯახების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, რათა მამაკაცებმა მეტად დაუჭირონ მხარი ქალთა თანასწორობას და თანაბრად გაინაწილონ საოჯახო საქმე. უამრავი კვლევა აჩვენებს, რომ ბავშვები, რომელთაც მზრუნველი მამა ჰყავთ, გაცილებით ფრთხილები და დაცულები არიან როგორც ძალადობისგან, ასევე სხვა სოციალური პრობლემებისგან; შედარებით ადვილად შეუძლიათ სტრესთან გამკლავება და აქვთ უფრო წარმატებული მომავალი. ამდენად, მამაკაცების ზრუნვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქალების, ბავშვების და, ზოგადად, საზოგადოების კეთილდღეობისთვის, "- ამბობენ გაეროს მოსახლეობის ფონდში.

„კაცები ზრუნავენ“ (MenCare) გლობალური კამპანიაა, რომელიც აქტიურად ხორციელდება მსოფლიოს 35–ზე მეტ ქვეყანაში.

ინფორმაციის ვრცლად სანახავად ეწვიეთ ბმულს: http://liberali.ge/news/view/23578/katsebi-zrunaven--akhali-kampania-itsyeba

უჩა ნანუაშვილი: კაცები ნაკლებად არიან ჩართულნი შვილების აღზრდაში

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი კამპანია „კაცები ზრუნავენ“ -ში ჩაერთო.

სახალხო დამცველმა ისაუბრა გენდერული თანასწორობის მიღწევის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ განუზომელია მამების როლი შვილების აღზრდაში, თუმცა სამწუხარო რეალობაა, რომ კაცები ნაკლებად არიან ჩართულნი და ნაკლებად ზრუნავენ მათზე. ხოლო დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპები და ბარიერები მათი დამოკიდებულებების განსაზღვრის საწინდარია. ასევე იმედი გამოთქვა, რომ კამპანია დიდ როლს შეასრულებს პოზიტიური ცვლილებების მიღწევაში.

„ჩემთვის დიდი პატივია შემოვუერთდე კამპანიას და ჩემი, როგორც სახალხო დამცველის, მეუღლის და მამის წვლილი შევიტანო გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესებში“, – აღნიშნა უჩა ნანუაშვილმა.

ქალაქ თელავში „ადრეული ქორწინების პრობლემა საქართველოში“ თემაზე ტრენინგი გაიმართა

ტრენინგის მთავარი მიზანი ადრეული ქორწინება და მისი საზოგადოებრივ-სამედიცინო გართულებები, რელიგიის თვალსაზრისით ქორწინების ზრდასრული ასაკი, საქართველოს კანონების მიხედვით 18 წლამდე ქორწინების და გოგონას მოტაცების შემთხვევაში სისხლის სამართლით გათვალისწინებული სასჯელის შესახებ განმარტებები გაკეთება.

ტრენინგზე მონაწილე შეიხ ჰაჯი რამინ იგიდოვმა და მუფთ ჰაჯი იასინ ალიევმა ისლამის მიხედვით ქორწინების ასაკზე და ქორწინებისას გასათვალისწინებელ ძირითად კრიტერიუმებზე ისაუბრეს. ასევე აღინიშნეს, რომ ქორწინებისათვის მხოლოდ ქრონოლოგიური მომწიფება არ არის საკმარისი, ასევე აუცილებელია ადამიანი ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად, სოციალურად და ბიოლოგიურად უნდა იყოს მომწიფებული.

- ინფორმაციის ვრცლად სანახავად ეწვიეთ ბმულს http://amag.ge/index.php/news/item/304-2016-07-31-10-44-31

ცოლი თუ ყურმოჭრილი მონა?!- აქცია შსს-თან

,,13 ივლისს ქალთა მოძრაობამ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქცია გამართა მოთხოვნით, რომ პოლიცია არ ეხმარებოდეს მკვლელებს, არ უწყობდეს ხელს ფემიციდს, რომ პოლიცია ოჯახში ძალადობის თითოეულ შემთხვევას სერიოზულად უდგებოდეს, ებრძოდეს ძალადობას და იცავდეს მსხერპლს.

ინფორმაციის ვრცლად სანახავად ეწვიეთ ბმულს: http://sapari.ge/archives/575

28 ივლისი ეროვნული კამპანია - ჰეპატიტის მსოფლიო დღე

28 ივლისი ჰეპატიტის მსოფლიო დღეა. საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც C ჰეპატიტის სრული აღმოფხვრა, ანუ ელიმინაცია უნდა მოახდინოს. ელიმინაციის პროგრამაზე მუშაობისას, მსოფლიოს წამყვანი ექსპერტების მიერ და ავტორიტეტული კვლევების თანახმად გაკეთდა რეკომენდაცია, მკურნალობის პროგრამაში ნარკოტიკის მომხმარებლების პრიორიტეტულად ჩართვასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობის ამ ჯგუფში ინფექცია ყველაზე მეტადაა გავრცელებული, იმისათვის, რომ ქვეყანაში ინფექციის ელიმინაცია მოხდეს, საჭიროა ნარკოტიკის მომხმარებლების 90%-ის მკურნალობის პროგრამაში ჩართვა.

ქვეყანაში არსებული რეპრესიული ნარკოპოლიტიკის პირობებში, ნარკოტიკის მომხმარებელი განიცდის დევნას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. მაღალია საპატიმრო სასჯელის გამოყენების სტატისტიკა. ასევე მაღალია C ჰეპატიტის გავრცელება საპატიმრო დაწესებულებებში. ზიანის შემცირების პროგრამებისთვის გართულებულია ნარკოტიკის მომხმარებლებზე წვდომა და მათთვის C ჰეპატიტის პრევენციული სერვისების მიწოდება. შესაბამისად, არსებული ნარკოპოლიტიკა ხელს უწყობს ინფექციის დონის ზრდას მოსახლეობის ამ ჯგუფში.

- ინფორმაციის ვრცლად სანახავად ეწვიეთ:

http://www.hrn.ge/index.php?component=NEWS&item_id=89&menu_id=31&sub_menu_id

ქორწინების შესახებ რეფერენდუმი არ ჩატარდება

ქორწინების საკითხზე რეფერენდუმი არ ჩატარდება, – აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის ბრიფინგზე გახდა ცნობილი. რეფერენდუმის ჩატარების საკითხზე უარყოფითი გადაწყვეტილება სწორედ პრეზიდენტმა მიიღო.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა, საკუთარ დასკვნასთან ერთად, პრეზიდენტს რამდენიმე დღის წინ გადაუგზავნა.

საქმე ალექსანდრე ბრეგაძის, სოსო მანჯავიძისა და ზვიად ტომარაძის შემადგენლობით შექმნილი საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნას ეხებოდა, რომლის მიხედვით, რეფერენდუმი შემდეგ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა ჩატარებულიყო: – ”თანახმა ხართ თუ არა, რომ სამოქალაქო ქორწინება განისაზღვროს, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის?“.

დაუგეგმავი ორსულობა, აივ ინფექცია, კონტრაცეფცია... - ყველაფერი, რაც ქალმა და მამაკაცმა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე უნდა იცოდეს

ინტერნეტკონფერენციის თემა რეპროდუქციული ჯანმრთელობაა. რეპროდუქციული ჯანმრთელობის მნიშვნელობაზე, ორსულობის დაგეგმვის დადებით მხარეებზე, კონტრაცეფციის გამოყენებასა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენციაზე კითხვებს "ჰერა XXI"-ის ექიმი-რეპროდუქტოლოგი მაია პარკაული პასუხობს.

- ინფორმაციის ვრცლად სანახავად ეწვიეთ ბმულს: http://www.ambebi.ge/mimdinare-preskonperentsiebi/172333-daugegmavi-orsuloba-aiv-infeqcia-kontracefcia-yvelaferi-rac-qalma-da-mamakacma-reproduqciul-janmrthelobaze-unda-icodes.html

საერთაშორისო ამბები

ერევანში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ აქცია გაიმართა

ერევანში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ აქცია გაიმართა. სომხეთის დედაქალაქში, სასამართლოს ეზოში აქციის მონაწილეებმა გასისხლიანებულ ნაჯახი მიიტანეს. მათ ამით სიმბოლურად მიანიშნეს, რომ მკვლელ ვლადიკ მარტიროსიანს ეს ნაჯახი მოსამართლე ნელი ბაღდასარიანმა გადასცა. დემონსტრანტები მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვენ. მკვლელმა ყოფილი ცოლის მიმართ არაერთხელ გამოიყენა ძალადობა, თუმცა მას მოსამართლემ 6 წელი მიუსაჯა, მხოლოდ პირობითი სასჯელის სახით.

„აქციის ორგანიზატორია „კოალიცია ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ“, და ჩვენი მიზანია, ნელი ბაღდასარიანი მიხვდეს, რომ ჩვენ ვხედავთ და ვგმობთ მის დისკრიმინაციულ მიდგომას ვერდიქტების გამოტანის დროს. მისმა თვითნებურმა გადაწყვეტილებებმა ლეტალურად დასრულებულ დანაშაულამდე მიგვიყვანა“, – აცხადებს კოალიციის კოორდინატორი ზარა ოვანესიანი.

- ინფორმაციის ვრცლად სანახავად ეწვიეთ ბმულს: http://sapari.ge/archives/580

რუსეთის რელიგიური წინამძღვრები გოგონების წინადაცვეთას მხარს უჭერენ

ჩრდილოეთ კავკასიელი მუსლიმების საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარემ, ყარაჩაი-ჩერქეზეთის მუფთმა ისმაილ ბერდიევმა (Исмаил Бердиев) განაცხადა, რომ წინადაცვეთის პრაქტიკა არა მხოლოდ დაღესტნელ, არამედ სრულიად რუს ქალებზე უნდა გავრცელდეს. რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის დეკანოზმა ვსევოლოდ ჩაპლინმა (Всеволод Чаплин) მუფთს ამ საკითხში მხარდაჭერა გამოუცხადა. რელიგიური ლიდერების განმარტებით წინადაცვეთა ქალებს სექსუალური აღვირახსნილობისგან დაიცავთ.

„ყველა ქალი უნდა წინადაიცვითოს, რათა დედამიწაზე აღარ იარსებოს გარყვნილებამ, რათა მათი სექსუალობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. წინადაცვეთა შობადობას არ შეამცირებს, გარყვნილებას შეებრძოლება. მართალია, ისლამი ამას არ გვასწავლის, მაგრამ ქალური სექსუალობის მორჯულება აუცილებელია“, – განაცხადა მუფთმა.

- ინფორმაციის ვრცლად სანახავად ეწვიეთ ბმულს: http://sapari.ge/archives/711

12 აგვისტოს მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს

12 აგვისტო ახალგაზრდების საერთაშორისო დღეა. ამ დღეს საფუძველი გაეროს ასამბლეის 1999 წლის 17 დეკემბრის რეზოლუციით ჩაეყარა.

მანამდე კი, 1998 წლის 8–12 აგვისტოს ლისაბონში გამართული ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრების მსოფლიო კონფერენციაზე მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის დაწესების რეკომენდაცია მიიღეს.

ამ დღის მიზანია ახალგაზრდების წახალისება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რათა დაგეგმონ და განახორციელონ აქტივობები საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად თავიანთ ქვეყნებში ახალგაზრდების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

მსოფლიოში 500 მილიონზე მეტი ახალგაზრდა სიღარიბეში ცხოვრობს და მათ ხშირად ხელი არ მიუწვდებათ ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზეც კი. აუცილებელია, ყოველი ინიციატივა და ახალი წამოწყება მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პოტენციალის სწორად გამოყენებისკენ იყოს მიმართული.
ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ახალგაზრდობა წარმოადგენს ძალას და არა პრობლემას.
გავაძლიეროთ ახალგაზრდები მსოფლიოს უკეთესი მომავლისათვის!

19 აგვისტო მსოფლიო ჰუმანიტარული დღეა

19 აგვისტოს მსოფლიო ჰუმანიტარულ დღეს აღნიშნავს. ამ დღის აღნიშვნით პატივს მიაგებენ ჰუმანიტარულ საქმიანობაში ჩართულ პირებს, რომლებიც საქველმოქმედო-ჰუმანიტარული სამსახურის შესრულების დროს საკუთარ სიცოცხლეს რისკის ქვეშ აყენებენ.

წლევანდელი მსოფლიო ჰუმანიტარული დღის აღნიშვნას წინ უძღოდა მსოფლიო ჰუმანიტარული სამიტი, რომელიც 23-24 მაისს სტამბოლში ჩატარდა. სამიტის განმავლობაში მსოფლიო ლიდერებმა გამოხატეს ერთობლივი მხარდაჭერა ჰუმანიტარული დახმარების სამუშაოების დღის წესრიგის განხორციელებაში და აიღეს ვალდებულება იმ 130 მილიონი ადამიანის წინაშე, რომლებიც ჰუმანიტარულ დახმარებას საჭიროებენ.

„დღესდღეობით 65 მილიონ ადამიანზე მეტი ცხოვრობს იძულებით გადაადგილებაში, მათ შორის 21 მილიონი ლტოლვილი, რომელთა 47%-ს- ქალები, ხოლო 51%-ს 18 წლამდე ახალგაზრდები შეადგენენ. ყოველდღიურად 500-ზე მეტი ქალი და მოზარდი გოგონა იღუპება ორსულობისა და მშობიარობის დროს შეუსაბამო პირობების გამო. კრიზისისგან დაზარალებულ ადამიანებს ყოველდღიურად უწევთ რთული არჩევანის გაკეთება რაც საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას, დაცულობას და ღირსებას.

დღეს არსებული ჰუმანიტარული გამოწვევების საპასუხოდ გაერო-ს მოსახლეობის ფონდი არა ერთ სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან მომსახურებას უზრუნველყოფს: ავრცელებს მასალებს და ინფორმაციას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, მუშაობს გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოსაფხვრელად, უზრუნველყოფს ჰუმანიტარული დახმარების სამუშაოების დღის წესრიგში ახალგაზრდების პრიორიტეტების გათვალისწინებას, მათ ჩართულობასა და გაძლიერებას“, - ნათქვამია UNFPA-ს გავრცელებულ განცხადებაში.

ნუ გაავრცელებ ზიკას ვირუსს - IPPF-ისა და DUREX-ის ერთობლივი პროექტი

ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ორგანიზაციამ IPPF-მა და მსოფლიოში წამყვანმა ბრედმა დურექსმა გლობალური კამპანია ,,ნუ გაავრცელებ ზიკას ვირუსს" #DontShareZika წამოიწყეს. კამპანიის მიზანია მოსახლეობას აუმაღლოს ცნობირების დონე და გააგებინოს, რომ ვირუსი დაუცველი სქესობრივი კონტაქტის გზით მარტივად გადადის. ამავე კამპანიის ფარგლებში ორივე ორგანიზაცია მოსახლეობას ერთი მილიონი უფასო კონდომით ამარაგებს.

ინფორმაციის ვრცლად სანახავად მიჰყევით ბმულს:
http://www.ippf.org/news/ippf-and-durex-join-forces-raise-awareness-zika-sti

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ პერუში მასშტაბური მსვლელობა მოეწყო

პერუს დედაქალაქ ლიმასა და კიდევ 8 ქალაქის 50 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა საყოველთაო მარშში, რომლის მიზანიც იყო ქალთა მიმართ ძალადობის დაგმობა. როგორც პერუელი მაღალჩინოსნები აცხადებენ გენდერული თანასწორობის მოთხოვნით ჩატარებულ ეს მარშში თავისი მასშტაბურობით უპრეცედენტო იყო. მარშის ჩატარების წინაპირობა კი გახლდათ ის ფაქტი, რომ პერუში ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის მამაკაცები ან არ ისჯებიან ან სასჯელი დანაშაულთან სრულ შეუსაბამობაში მოდის.

ინფორმაციის ვრცლად სანახავად მიჰყევით ბმულს:
https://www.washingtonpost.com/world/the_americas/tens-of-thousands-march-in-peru-against-gender-violence/2016/08/13/fc7b1656-61d1-11e6-84c1-6d27287896b5_story.html

რა მდგომარეობა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით ყირგიზეთში?!

ევროპარლამენტის ხუთი დეპუტატი ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში ხუთდღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. დეპუტატების მიზანი იყო უკეთ გაეგოთ თუ რა მდგომარეობაა ყირგიზეთში დედათა და ჩვილთა ჯანმრთელობის კუთხით ასევე ზოგადად რა სურათია რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების რეალიზაციის კუთხით ქვეყანაში. დელეგაცია გერმანიის, რუმინეთის, ესპანეთის, შვეიცარიისა და თურქეთის პარლამენტარებისაგან შედგებოდა.

ინფორმაციის ვრცლად სანახავად მიჰყევით ბმულს:
http://www.epfweb.org/node/505

ევროპარლამენტარები საბერძნეთში არსებული მდგომარეობით შეშფოთებულები არიან

ავსტრიის, გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის დეპუტატები საბერძნეთს სამუშაო ვიზიტით ესტუმრნენ. ევროდელეგაციის მიზანი იყო ადგილზე გაცნობოდნენ ეკონომიკური კრიზისისა და მიგრანტების ფონზე, დედათა და ჩვილთა ჯანმრთელობის კუთხით რა სირთულეებთან გამკლავება უწევს ქვეყნის ხელისუფლებას.

ვიზიტის ფარგლებში დეპუტატებმა ადგილობრივ ხელისუფლებას გააცნეს პროექტი სახელწოდებით,,MSD for Mothers" . აღნიშნული პროგრამა დედათა და ჩვილთა ჯანმრთელობას ეხება და მას ორგანიზაცია ,, მსოფლიო ექიმები" ახორციელებს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სამმა დეპუტატმა ევროკომისიას საბერძნეთში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით შეშფოთების წერილი გაუგზავნა.

- ინფორმაციის ვრცლად სანახავად მიჰყევით ბმულს: http://www.epfweb.org/node/515

საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებულია ასოციაცია ჰერა **XXI**-ეს მიერ

დაგვიმეგობრით **FB**-გვერდზე **Association HERA XXI**
იყავით სიახლეების ეპიცენტრში